საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მერია

ქ. წალენჯიხა 23 / დეკემბერი / 2019 წ.

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.#5. ტელ: 571 17–00–17 599 85-72-20
5200 K.Salia st. #5. Tsalenjikha,Georgia Tel: 571 17–00–17 599 85-72-20
www. tsalenjikha.gov.ge E-mail. tsalenjikhameria@tsalenjikha.gov.ge

KA000000572990019

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება № 2-1/563

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი პირობებიანი და უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან და სარგებლობაში იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 54-ე მუხლის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, ელექტრონული აუქციონის ორგანიზების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2019 წლის 12 დეკემბრის N 8 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წალენჯიხა წმ. ნინოს ქ.ზე მდებარე უძრავი ქონების ს/კ N47.11.44.454.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 7250ლარი

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---800ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს----200 ლარი.

2. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წალენჯიხა გამსახურდიას ქ.ზე მდებარე 79 კვმ ს/ს არასაცხოვრებელი ფართის ს/კ N47.11.43.070.01/502.

ა)საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს —16000ლარი.

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---1600ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს----400 ლარი.

3. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ჯვარი რუსთაველის ქ.ზე მდებარე 46 კვ.მ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.14.35.246.

ა)საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს ----1000 ლარი.

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს --- 100ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს----50 ლარი.

4. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64 კვმ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ N47.02.35.216.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს—1650 ლარი.

ბ) ,,ბე''-ს საფასური განისაზღვროს ---200 ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს----50 ლარი.

4.1 ელექტრონული აუქციონის პირობად განისაზღვროს 3 წლის განმავლობაში თანამედროვე ობიექტის მშენებლობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

5. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 200 არა კვმ ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ N47.02.40.036.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს—3000 ლარს.

ბ) ,,ბე''-ს საფასური განისაზღვროს ---300 ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს----100 ლარი.

6. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.წალენჯიხა სალიას ქ.ზე მდებარე 23,89 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ს/კ N47. 11.01.182 იჯარით (სარგებლობის) უფლებით გაცემა.

ა)საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს --- 500 ლარი.

ბ) ,,ბე"-ს საფასური განისაზღვროს 50 ლარით

ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით.

7. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15(თხუთმეტი)კალენდარული დღით, ხოლო არასამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე პირველივე სამუშაო დღეს.

8. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ", მე-11-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის თანახმად ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

9. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისულების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ე ნაკლებია.

10. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

11. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

12. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტია ,,ბე" სრულად ირიცხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

12.1 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

12.2 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

13. თანხა ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა გადაიხადონ შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკის კოდი TRESGE22. უძრავი ქონების პრივატიზება NN300393390 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან). შენობა-ნაგებობის გაყიდვიდან N300393313.

14. ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების საგენტომ.

15. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებრო ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს ვებგვერდზე: www.eauction.ge.

16. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge განთავსება უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა.

17. ელექტრონული აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო და საიჯარო ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა და ელექტრონული აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

18. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

19. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბესიკ ფარცვანია